ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 22 იანვარს,
გ. გედევანოვის საბენეფისოდ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა:

I

## კირია მონასტერი

კომედია-ხუმრობა 3 მოქმედ., გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

II

## მოტია

ვოდ. 1 მოქმედ. ალ. ჰიჰინაძისა.

III

## დივერტისმენტი

გ. აბაშიძე და გ. გედევანოვი იმღერებენ სომხურს კუპლეტებს.
ქლ. ალექსი-მესხიშვილი იმღერებს რუსულ რომანსს „შეშლილი“.
გ. გედევანოვი იმღერებს კომიკურს კუპლეტებს ა. ახნაზაროვისას.
ბ-ნი შათირიშვილი იგალობებს კომიკურს კუპლეტებს ა. ახ—ოვისეს.
გ. აბაშიძე წაიკითხავს ბ-ნ ა. ახნაზაროვის სომხურს სცენას—„ოჰანეზას ნადირობა“.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ $7\frac{1}{2}$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ახალი ორიგინალური პიესა „და-ძმა“ ვ. გუნიასი; „ლანდი“, თარგ. რუსულიდგან.

## სახელმწიფო ბანკის განყოფილებისაგან ტფილისში.

სახელმწიფო ბანკის განყოფილება ტფილისში ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ სახელმწიფო ბანკის განკარგულებისამებრ, **ამ იანვრის 24, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდე,** ამ ბანკის განყოფილების სადგომში **იქნება გასყიდვა საქველ-მოქმედო ლოტარეიას ბილეთებისა** იმ გუბერნიების სასარგებლოდ, რომელიც დაიმშა 1891 წლის მოუსავლობის გამო. იქნება გასყიდვა აგრეთვე ცალკე კუპონებისაცა. ფასი ბილეთისა 5 მან., ხოლო კუპონისა—1 მან. უკეთუ მყიდველი მთელს ბილეთს-კი არ იყიდის, არამედ მოითხოვს ცალკე კუპონს, ამ შემთხვევაში ის წესი იქმნება დაცული, რომ ჯერ ერთის ბილეთის კუპონები გაისყიდოს და მერე მეორესი და არა ერთად რამდენისამე ბილეთისა. როცა ერთის ბილეთის კუპონები გაიყიდება, მხოლოდ მაშინ დაიჭრება შემდეგი ბილეთი კუპონებად და ახლა ის გაიყიდება. (3—0—1)


ტფილისის სობრანიაში

კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია

**კონცერტი**

6 იანვარს მომხდარის უბედურებით დაზარალებულ ოჯახობათა სასარგებლოდ. კონცერტს შემდეგ

**ცეკვა**

ბილეთების ყიდვა შეიძლება გ. მ. მირიმანიანის სამუსიკო დეპოში, სასახლის ქუჩა ტფ. სათ-აზნ. ბან. თეატრის ქარვასლაში, ხოლო კონცერტის დღეს სობრანიის შვეიცართან. (5—1)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—9)


## ახალი ამბავი

*** 6 იანვარს მომხდარ უბედურების დროს დაღუპულების ოჯახობათა დასახმარებლად შემდგარი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ შეწირულებანი ხსენებულის საგნისათვის მიიღება კომისიის მიერ ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე.

*** ვენახის წამლობა ვაზის ობისაგან, როგორც ვიცით მხოლოდ ვერმორელის სასხურებელის მაშინის შემწეობით შეიძლება. ეს მაშინა საფრანგეთში კეთდება და ტფილისში 18—19 მანათი ჰღირს. ამ ჟამად ერთს ბათუმელს, ბ-ნ ა. აბაშიძეს, დაუწყია ამისთანა მაშინების მზადება ბათუმში და ამ მოკლე ხანში სწადიან წარუდგინოს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს და ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას გასასინჯად. უკეთუ ამ ორმა დაწესებულებამ ვერა ნაკლი ვერა უპოვნა-რა, მაშინ ბ-ნს აბაშიძეს ჰსურს მოწმობა აიღოს და თავისის ნაწარმოების გასყიდვა დაიწყოს.

*** მკითხველებმა იციან რა ყოფიც დააყენა ხმოსანმა ნ. დ. ზუბალაშვილმა ქალაქის გამგეობას იმის გამო, რომ ცხენის რკინის გზას თითქმის თავისის ხარჯით უგვიდა ქუჩებს და გაჰქონდა ნაგავი. ამ ამბის გამო, უსახელო საზოგადოებამ გამოჰგზავნა ბელგიიდგან თავისი წარმომადგენელი ინჟენერი კოსსუ—ყველაფერში მოურიგდი ქალაქსაო, რომ უთანხმოება აღარა იყოს-რა ჩვენსა და იმათ შორისო. ეს ორი კვირაა სულ ამ საგანზე ჰქონდა გამგეობასთან მოლაპარაკება ბ-ნს კოსსუს და ამ თთვის 21 შეიკრა ქალაქსა და საზოგადოების წარმომადგენელს შორის შემდეგი პირობა: 1892 წლის 1 იანვრიდგან 1897 წლის 1 იანვრამდე ქალაქის კასას უნდა აძლიოს უსახელო საზოგადოებამ ქუჩების საწმენდად წელიწადში 2140 მანეთი ნაცვლად 600 მანეთისა, რომელსაც აქამდე იძლეოდა; წარსულის წლების დასამატებლად უნდა ერთბაშად შემოიტანოს 1567 მანეთი და 95 კაპ. და გარდა ამისა უფასოდ აძლიოს ყოველ წლივ 75 ბილეთი რკინის გზის ვაგონებისა გამგეობის მოხელეთათვის; ეს ბილეთები უნდა ეძლეოდეს 1929 წლამდე; ქალაქის გამგეობა თავის მხრივ აუქმებს განაჩენს იმის შესახებ, რომ მოსთხოვოს ჯარიმა 12,800 მანეთი, რომელსაც ედავებოდა ვოგზალის ვაგონების შეჩერებისთვის 1889 წ. ეს ხელ-შეკრულობა კანონიერი იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას დაამტკიცებს ქალაქის საბჭო.

უნდა ვსთქვათ, ასეთი მორიგება ორთავე მოპირისპირესთვის სასარგებლოა და საბჭოც დაჰყაბულდება, უეჭველია, რომ ეგებ ამას იქით მაინც ჩამოვარდეს ისეთი განწყობილება ამ ორ დაწესებულებას შორის, როგორიც სასურველია.

*** ხსენებულსავე წარმომადგენელ ბ-ნს კოსსუსთან მოლაპარაკება ჰქონდა რკინის გზის დელეგატს ბ-ნს პაშკევიჩს, ქალაქის მიერვე დანიშნულს, მასზედ, რომ საზოგადოებამ დაუკლოს ბილეთის ფასი მოსწავლე ყმაწვილებს. ბ-ნი კოსსუ დასთანხმდა მოაკლოს ამ ფასებს 40% მხოლოდ სწავლის დღეებში დილის 7 საათიდგან სწავლის გათავებამდე, სხვა დროს კი ფასი ჩვეულებრივი იქნება. ამას შესახებ ბ-ნმა კოსსუმ უკვე გაჰგზავნა ქაღალდი ბრიუსელში თანხმობის მისაღებად და იმედიცა აქვს, რომ ამ თანხმობას უეჭველად მალე მიიღებს.

*** 13 იანვარიდგან დაწყებული 19 იანვარამდე ძლივს დაამოლოვა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ იმ ბორჩალოელ თათრების საქმე, რომელთაც, სხვათა შორის, ახალ-სოფლის ორის მწყემსის მოკვლაცა ჰბრალდებოდათ. როგორც ვუწყით, სამართალში სულ 19 კაცი იყო მიცემული. ცხრას ის ბრალი ედებოდა, რომ ქურდობა-ავაზაკობის ბრბო ჰქონიათ შედგენილი და დანარჩენს ათსაც ამათთვის შემწეობა გაუწევიათ, დახმარებიან, ავაზაკობა დაუფარავთ. ამ საქმეზედ ორმოც-დაათამდე მოწმე იყო გამოხმობილი. სასამართლომ განაჩენი 19 იანვარს, საღამოს 5 საათზედ, გამოაცხადა: პირველს ცხრა კაც შორის ხუთი ბრალად იცნო, რომ ბევრი ქურდობა ჩაუდენიათ საქონლისა შეიარაღებულთ და ახალ-სოფლის მწყემსებიც იმათ მოუკლავთ და გაუძარცვათო, და სამს თორმეტ-თორმეტის წლით გადაუწყვიტა კატორგა, ერთს 8 წლით და ერთსაც—6 წლ. და 8 თთვით. დანარჩენს ოთხს ის ბრალი დაედოთ, რომ ისინიცა ჰრეულან ქურდობა-ავაზაკობის დროს და დაუფარავთ კიდევ სხვათა ავაზაკობა, და კატორგავე მიესაჯათ ხუთ-ხუთის წლითა და ოთხის თთვით. ათ ქურდ-დამფარველთაგან სასამართლომ რვა დამნაშავედ იცნო, 7 კაცს ექვს-ექვსის თთვით საპატიმრო გადაუწყვიტა და ერთს—3 თთვითა. დანარჩენი ორიკი, 70 წლის დამბლად დაცემული მოხუცი ჰაჯი-ალი-სოილ-ოღლი და იმისი ამხანაგი ვალი-შაჰნაზარ-ოღლი, სასამართლომ გაამართლა. ბრალმდებელი ბ-ნი ვოცკოი არ დასთანხმდა ამათს გამართლებას და საქმე პალატაში გადააქვს.

*** ჩვენს თანამემამულეს ინჟენერს თავ. ბებუთოვს მოუგონია ახალი ღონის ძიება სიგნალიზაციისა მატარებელთათვის ელექტრონის შემწეობით. ამ ჟამად სიგნალიზაცია მატარებლებში თოკის შემწეობით სწარმოებს, რომელიც ორთქლ-მავალიდამ მატარებლის ბოლომდეა გაბმული. ბ-ნ ბებუთოვის მიერ აღმოჩენილი ახალი წესი სიგნალიზაციისა ბალტიის რკინის გზაზე გამოსცადეს რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების წევრთ და კარგი და საგნის შესაფერი აღმოჩნდა.

*** როგორც შევიტყვეთ, ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება გორში გაემგზავრება 6 თებერვალს სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად და 28 მარტამდე იქ დაჰყოფს. პირველი კრება ამ განყოფილებას გორში 7 თებერვალს ექნება.

*** 15 იანვრისთვის დანიშნული საქმე ტფილისის მცხოვრებ სამოცის წლის კაცის ისიდორე იულიას ძის მიხაილოვისა, რომელსაც თავისის 7—10 წლის შვილიშვილის ქალის ძალდატანებით გაუპატიურება ჰბრალდება, ოლქის სასამართლომ 31 იანვრისათვის გადასდო.

*** დამშეულ გუბერნიების სასარგებლოდ მეორე ლოტარიის ბილეთები უკვე დაიბეჭდა და გაიგზავნა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. პირველი ლოტარია მოხდება ამ თთვის 28-ს.

*** დედათა საქველმოქმედო წმ. კნ. ნინოს საზოგადოების საბჭოს თხოვნით თელავის წმ. ნინოს საზოგადოების თავმჯდომარედ დანიშნულია ნინო ზაქარიას ასული ჯორჯაძისა, ქ-ნ ბაგგვოუტის მოადგილედ, რომელმაც უარი სთქვა ამ თანამდებობაზედ.

*** ოზურგეთის მაზრას აქამდე საერო დარაჯები არ ჰყავდა. ეხლა კავკასიის მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ტფილისისა, ვანჯისა, ერევანისა და ბაქოს მაზრებიდგან თითო ცხენოსანი და ერევნისა და განჯის გუბერნიების თითო საერო დარაჯების უფროსი ოზურგეთის მაზრაში გადაიყვანოს.

*** თ. გიორგი ანდრონიკაშვილს რუსულიდამ ქართულად გადმოუთარგმნია რამდენიმე ზღაპარი, რომელსაც რუსულად „კოტ მურლიკა“ ეწოდება. იმასვე დაუწყია გადმოკეთება პოლ ბერის ზოოლოგიისა.

*** იბეჭდება და მალე გამოვა: „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები—ვახტანგ ორბელიანი“. შიგ მოთავსებულია მრავალი ცნობანი, რაც თვით განსვენებულს ვახ. ორბელიანს უამბნია, თუ თავის ცხოვრების შესახებ და თუ თივის დროინდელ ქართველობისა.

*** ოზურგეთში იაფ-ფასიანს „ვეფხის ტყაოსანს“ მეორედ ჰბეჭდავენ.

*** ახპატელოვის „სიზრმის ახსნას“ არ იქმნა ბოლო არ მოეღო. ეხლა იბეჭდება მეექვსედ. ეს წიგნი ყოველ წელს 2400 ცალი იბეჭდება და მის მეოხებით ათასნაირი ცრუმორწმუნოება ვრცელდება მდაბიო ხალხში.

*** ექვს იანვარს მომხდარ ამბების შესახებ ქართულს ენაზე ოთხმა კაცმა დაბეჭდა სხვა-და-სხვა ლექსები, რომელიც ქუჩა-ქუჩა დააქვთ და ჰყიდიან.

*** როგორც ამბობენ, ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობის განკარგულება შესახებ მემაშინეთა ჯამაგირების შემცირებისა, აღსრულებაში არ იქნება მოყვანილი.

*** პ. ა. ოპოჩინინს (გორესმეხოვს) განზრახვა აქვს, თავისი სხვა-და-სხვა ჟურნალსა და გაზეთებში დაბეჭდილი ლექსების კრებული გამოსცეს „Нов. Обоз“.-ე.

*** კვირას, 19 იანვარს „ტფილისის სობრანიის“ საცეკვაო საღამოზედ ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო, ლოტარიის შემოსავალი 1,500 მანათამდეა. ხალხი დილის 4—5 საათზე დაიშალა.

*** ქალაქის საბჭომ ამა 1892 წლისათვის 13,050 მანათი გადასდო ტფილისის 7 სამოქალაქო პირველ

დასაწყის სკოლისთვის და ამ გვარად გაანაწილა ეს ფული:

| | მან. |
|---|---|
| ავლაბრის სომხ. სკოლისათვის | 1,530 |
| ავლაბრის რუს. | 1,940 |
| ვერისა რუს. | 1,635 |
| მამა-დავითის ქართ. | 1,560 |
| კუკიის სომხ. | 1,560 |
| კუკიის ქართ. | 1,470 |
| ხარფუხის სომხ. | 1,510 |

სულ 11,205 მანათი. დანარჩენი 1855 მანათი დანიშნულია სამოქალაქო სკოლების მმართველისა და სამრთო წერილის 4 მასწავლებელთათვის და სკოლების შენობებისა და ავეჯის განსაანახლებლად. ეს ანგარიში საბჭომ ქალაქის მმართველობას უნდა გადასცეს დასამტკიცებლად.

*** გურია: გურიაში ხმა გავრცელდა, და რამდენადაც შევიტყვეთ, ეს ხმა მართალი უნდა იყოს, რომ მაზრის უფროსად აქ ბ-ნი გიორგი ბებურიშვილი გარდმოჰყავთ, რომელიც ამ ჟამად სენაკის მაზრაშია ამავე თანამდებობაზე. გურულებს იმედი აქვთ, რომ ბ-ნი ბებურიშვილი, როგორც გურიისავე მკვიდრი, გულ-მტკივნეულობით მოეკიდება თავის თანამემამულეთა სხვა-და-სხვა საჭიროებას. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ მან უკვე იცის ჩვენი ავ-კარგი, ჩვენი წუნ-ღირსება და თავის ცოდნისა და მიხვედრილობის თანხმად იწყებს მოქმედებას. ღმერთმა ინებოს, რომ ეს იმედი გაგვმართლებოდეს და მომავალს მაზრის უფროსს ამ ყოვლის მხრით საჭირ-ბოროტო დროში შესაფერი ფხა და უნარი გამოეჩინოს თავის მეტად დიდ-მნიშვნელოვანს სამსახურში.

*** რამდენსამე ფულის პატრონთ განუზრახავთ ერთის აქაურის მკურნალის მონაწილეობით დააარსონ ამხანაგობა სამკურნალო წყლების შეძენისა და წარმოებისთვის. ამხანგობის წესდება უკვე შემუშავებულია. სათადარიგო თანხად ექნება ერთი მილიონი მანათი, რომელიც პაებიდგან უნდა შესდგეს, თითო პაი ეღირება 500 მანათი. წესდებას ამ მოკლე ხანში წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად („Т. Л.“)

*** გაზეთ „გრაჟდანინის“ სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფი გენერალ-ადიუტანტი თავადი ა. მ. დონდუკოვი-კორსაკოვი, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება, ძლიერ ავად არის. შვილები არ ჰშორდებიან ავადმყოფს მამას.

*** ბერნში ახალი წიგნი დაიბეჭდა შესახებ კავკასიისა, გერმანულს ენაზედ Zwei Kaucasus-Expeditonen von A. Fisches“-ის სათაურით-

*** ბათუმიდგან სწერენ გაზეთს „კასპის“, 12 იანვარს ბათუმში ხუთი ავაზაკი დაეცა მეეტლეს გედევან ბახტაძეს და თავში და მარჯვენა ხელში დასჭრეს ხანჯლით. ბახტაძეს მოჯამაგირე მიეშველა, მაგრამ ისიც მძიმედ დასჭრეს თავში. შემდეგ წაიღეს 512 მანათი ფულად, 4 მომგებიანი 1-სა და 2-რე სესხის ბილეთი, ვექსილები, ვერცხლის ხანჯალი და სხვა სამკაული. მოჯამაგირე იმ დღესვე საღამოთი გარდაიცვალა. ბახტაძეს მორჩენისა-კი იმედი აქვს მკურნალებს. ორი ავაზაკი უკვე შეიპყრეს: ერთი ურია აღმოჩნდა და მეორე იმერელი. იმედია, რომ დანარჩენს სამს ავაზაკსაც მალე შეიპყრობენ.

*** 20 ამ თთვისას ბაირამ-ოღლის ფარეხში პოლიციელმა იპოვნა 16 დაკლული და ორი დაუკლავი ცხვარი, მოპარული გეურქ ოჰანეზოვის ფარეხიდამ.

## ქალაქის საბჭო

20 იანვარს

ქალაქის მოურავმა მოახსენა კრებას ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა, რომ ქალაქს მიენიჭა უფლება ექსპროპრიაციით შეიძინოს მამული რიყის მხრივ მუხრანის ხიდის გასაკეთებლად, ე. ი. ის ფასი მისცეს მემამულეთ, რასაც გარდასწყვეტს კომისია. ამ კომისიაში უნდა ერიოს წევრად ერთ-ერთი ხმოსანი საბჭოსი. ტფილისის მაზრის მარშალი იწერება —ამ მოკლე ხანში შეიკრიბება კომისია და გამოგზავნეთ დასასწრებლად საბჭოს წარმომადგენელიო. ქალაქის მოურავმა სთხოვა კრებას ამოირჩიეთ ერთი ხმოსანთაგანიო. ბარათებით დასახელებული იყო რამდენიმე ხმოსანი, ხოლო კენჭის ყრით არჩეულ იქმნა ხმ. ა. თ. ფრიდონოვი, რომელმაც ყველაზე მომეტებული მიიღო თეთრი კენჭი, ე. ი. 29 წინაალმდეგ ხუთისა.

ამავე კრებას უნდა აღერჩია გამგეობის წევრთა კანდიდატები. დასახელებულ იქმნა რამდენიმე ხმოსანი, ხოლო არჩევანი გადადებულ იქმნა შემდეგის კრებისთვის.

შემდეგ კრებამ მოისმინა წინადადება ხმ. პაშკევიჩისა, რომ ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საქმე საყასბოს აშენებისაო. ადრინდელმა ქალაქის მოურავმა ხმ. ა. ს. მატინოვმა სთქვა, რომ ამ საქმეს დაშურება უნდა, რადგან დღევანდელი მდგომარეობა საყასბოსი შესაწყნარებელი არ არისო. რომ დაერთოთ ნება მესამე საქალაქო სესხის აღებისა, მაშინ შეგვეძლო ძვირფასი შენობა აგვეშენებინაო, მაგრამ რაკი ამისი ნება გვიგვიანდება, ისეთი საყასბო ავაშენოთ, როგორსაც მოვიხერხებთო. ფულის საშოვნელად დავაგირავოთ საბჭოს სახლი და რა წამსაც დავასრულებთ საყასბოს, მაშინათვე შევიტანოთ ეს უკანასკნელი ბანკში და გამოტანილის ფულით დავიხსნათ საქალაქო სახლიო, საყასბომკი სწყვიტოს თავისი ვალი იმ შემოსავლიდგან, რომელსაც შემოიტანსო. ხმ. თავად ა. ზ. ჩოლაყაშვილმა ურჩია კრებას—ამ საგნის განხილვა მიენდოს გამგეობასა, სასანიტრო და საშენობო კომისიებსაო. საბჭომ მიიღო ეს სარჩიელი და დაავალა გამგეობასა და ხსენებულს კომისიებს ექვსის კვირის განმავლობაში წარმოადგინოს თავისი პროექტი, როგორც საყასბოსი, აგრეთვე იმ ღონისძიებათა, რომლითაც შესაძლო იქნება მისი აშენება.

კრებამ მოისმინა სარჩიელი ხმ. მ. ვ. მაჩაბლისა მასზედ, თუ რა წესით უნდა იქმნას კვლავ ამორჩეული აღმასრულებელი კომისია, დამწესებელი პურისა და ხორცის ფასისა. ხმოსანმა დაწვრილებით აღნიშნა ის სარგებლობა, რომელიც მოუტანა ქალაქს ამ კომისიის არსებობამ 10 თთვის განმავლობაში. ცნობათაგან აღმოჩნდა, რომ რაც კომისია დაარსებულა, ე. ი. შარანდელ მარტიდგან დეკემბრის გასვლამდე, ათის თთვის განმავლობაში ტფილისელებს დაჰხარჯვიათ 1.120,000 მანეთი ხორცზეო. შარშან წინ, ამავე ხნის განმავლობაში, როდესაც გაუქმებულ იყო ნიხრი, ტფილისელებს ხორცი დასჯდომიათ 1.286,000 მანეთი. აქედგანა სჩანსო, რომ ათის თთვის ხანში მოქალაქეთა ჯიბეში გადარჩენილა, მარტო ხორცზე 166,000 მანეთიო, რაიცა წლიურად შეადგენს სარგებლობას 200,000 მანეთამდეო. ასეთივე სარგებლობა მოუტანია მცხოვრებთათვის კომისიას პურის სყიდვაშიაც. აქედგანა აშკარადა სჩანს დიდი მნიშვნელობა კომისიისა და უეჭველია საქმე უფრო უკეთ წავა, თუ მთელს საბჭოს დაახლოვებით ეცოდინება ბაზარი და ის მანქანები, რომელიც ჰმოქმედობს ფასების დაწესების საქმეში. ამიტომ საკეთილოდ მიმაჩნია, რომ ხსენებულს კომისიაში მომეტებულს ნაწილს ხმოსნებისას შეჰხვდეს მუშაობა, რის გულისათვისაც კარგი იქნებოდა, რომ კომისიის წევრნი არ ირჩეოდნენ სამუდამოდ, არამედ ოთხის თთვის ვადით, რათა შემდეგ ახალნი წევრნი ჩაერივნენ ამ საქმეში და იმათაც შეისწავლონ ჩვენის ბაზრების ავ-კარგიანობა. გარდა მაგისა, გამგეობის წევრს დავავალოთ წლის გასულს წარმოგვიდგინოს ანგარიში ბაზრის მდგომარეობისა, შეგვატყობინოს, რა დაბრკოლება დაჰხვედრია გზაში სიიაფის ჩამოსაგდებად, რა ღონე ულონია და ან შემდეგისთვის რა ღონისძიებანი ამოუღია ნიშანში. ამასთანავე ყოველი ცვლილება, რომელიცკი ჰხდება ნიხრის შესახებ, აცნობოს საბჭოს პირველსავე კრებას და შეატყობინოს მიზეზი ცვლილებისა. საბჭო დასთანხმდა ამ წინადადებას, მხოლოდ დაადგინა, თანხმად ხმ. ა. ზ. ჩოლოყაშვილის რჩევისა, რომ კომისიის წევრთ არ უთავდებოდეთ ვადა ყველას ერთად, არამედ თითო წევრი გამოიცვალოს ყოველ ოთხის თთვის შემდეგაო.

ბოლოს გამგეობამ შეატყობინა საბჭოს, პასუხად ხმ. მ. ი. თამამშოვის საკითხისა, რა არის მიზეზი, რომ სახელოსნო სასწავლებლის ოსტატთა რიცხვი არსად სწორედ არ არის ნაჩვენები. წაკითხულ იქმნა ამის შესახებ წერილი თვით სასწავლებლის დირექტორის ბ-ნ ხარკოვისა, რომელიც სწერდა, რომ აქ მხოლოდ კორექტურული შეცდომა მოჰხდა, როგორც დიდს ანგარიშში, აგრეთვე სამოსწავლო კომიტეტის მოხსენებებშიცაო.

ამ „კორექტურულმა შეცდომამ“ დიდი სიცილი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ხმ. მ. ი. თამამშოვმა სთქვა, რომ ამისთანა სასაცილო პასუხის შემდეგ მე ჯერ-ჯერობით აღარას ვიტყვი, მხოლოდ ვსთხოვ დანიშნულს სარევიზიო კომისიას მიაქციოს ყურადღება და საფუძვლიანად, გულდასმით გამოიკილიოს, რა მიზეზია შესანიშნავის სიცოტავისა ქართველსომეხ მოსწავლეთა ამ სასწავლებელში, როდესაც ამის პირდაპირი დანიშნულება არის გაავრცელოს სახელოსნო სწავლა მკვიდრთა შორისო.

## კავკასიის იურიდიულის საზოგადოების კრება

20 იანვარს

კრება გაიმართა თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვის მიერ საღამოს სრულს რვა საათზე. საზოგადოების მდივანმა ა. ს. ფრენკელმა მოახსენა კრებას, რომ ტფილისის საგუბერნიო საკრებულოს მდივანმა ა. თ. ყიფშიძემ სურვილი გამოაცხადა ჩვენის საზოგადოების წევრობისა და რას ინებებთო. კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნი ყიფშიძე თავის წევრად. შემდეგ ორიოდე მცირე საგანი იქმნა განხილული და მასუკან კრება შეუდგა ბ-ნ ფრენკელის ვრცელის მოხსენების მოსმენას. მოხსენება შეეხებოდა ყაჩაღობას საზოგადოდ და კერძოდ შესანიშნავ ავაზაკის ტატო წულუკიძის ბიოგრაფიას. რეფერატის კითხვა გაგრძელდა თითქმის ოთხს საათს, რისთვისაც კრებამ ვეღარ მოასწრო გამოეთქვა თავისი აზრი. რეფერატი, თავმჯდომარის განკარგულებით, დაიბეჭდება და მაშინ ჩამოვარდება ლაპარაკი და ბაასი მის ღირსება-ნაკლულევანების შესახებ. მოგვყავს დაახლოვებით შინაარსი ბ-ნ ფრენკელის საინტერესო რეფერატისა.

იურიდიულს საზოგადოებას, ბრძანა ბ-ნმა ფრენკელმა: სურს გამოიკვლიოს მიზეზი ყაჩაღობისა და ავაზაკობისა ჩვენში. ამ საგნის გამოსარკვევად მე განვიზრახე შემეკრიბა დაწვრილებით ცნობანი ტატო წულუკიძის შესახებ, უფრო იმიტომ, რომ ეს ავაზაკი შეიძლება ჩაითვალოს სხვა ავაზაკების პირველ-სახედ, ანუ პროტოტიპად. ეს მით უფრო საადვილოა ჩემთვის, რომ ტატო მოქმედებდა ჩვენს თვალ წინ და კერძოდ მე ვიყავ ხოლმე მის დამცველად სასამართლოს წინაშე.

ავაზაკობა და ყაჩაღობა არ ახალია, ძველია, და რაც უფრო გაუნათლებელია ქვეყანა, რაც უფრო

---

# ფელეტონი

## სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

### VII

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 11)

ქეთევანს უნდოდა თავის სიმონასთვის, თუ აზნაურისა არა, ერთი „შეძლებული“ გლეხის კარგი მზითვიანი ქალი მოეყვანა ცოლად და ამიტომ დააპირა — დარიას შერთვის ფიქრს მივატოვებინებო. მაგრამ სიმონას გადაწყვეტილებამ— „თუ დარია არ შევირთე, თავის დღეში უცოლოდ დავრჩები, სხვაი ქალი არ მინდა“-ო—პირიქით ქეთევანს დაატოვებინა თავისი განზრახვა. მეტი რა ღონე იყო, ქეთევანმა თავისითვე გაურიგა შვილს დარიას მშობლებთან საქმე. სიმონას და დარიკოს ჯვარის წერა და ქორწილი, როგორც ჩვეულება აქვთ სოფელში, შემოდგომაზე, ყანების „დალაგების“ შემდეგ უნდა მოეხდინათ. თუმცა ასეთი გრძელი ვადა ძნელი ასატანი იყო შეყვარებულ სიმონასათვის, მით უმეტეს, რომ ზოგიერთს სოფელში ახირებული ჩვეულება აქვთ: როცა ქალი და კაცი ერთმანეთზე საცოლ-ქმროდ დაინიშნებიან, თითქო მომდურავები არიანო, ისე უნდა ერიდებოდნენ ჯვარის დაწერამდე ერთმანეთის დაახლოვებას. მაგრამ სხვა რა გზა იყო, სიმონა უნდა დამორჩილებოდა ამ შემთხვევაში ჩვეულებას. გულს იმით იფხანდა, რომ თავის ცოლის ძმას, დამოყვრების შემდეგ ყანები გაუზიარა და ამ ღონისძიებით დარიას ყოველ-დღე ჰხედავდა.

ერთს დღეს სიმონამ თავისის ცოლის ძმისას გაიარა,—ყანაში უნდა წაეყვანა პავლია. სახლში მარტო დარია დაუხვდა, სხვები სადღაც წასულიყვნენ. ქალს შერცხვა საქმროს დანახვაზე, გაწითლდა და ხმას ვერ იღებდა.

— რა არის, დარიკო, ხომ არ მემდური, ხმას რომ არ მცემ? მორცხვობით უთხრა სიმონამ.

— რას გემართლები სანდურავს? უპასუხა ქალმა.

— მითხარი, დარიკო, რავაც მე შენ, ისე გიყვარვარ?

დარია გაწითლდა პირისახეზე ერთიანად და ისე უპასუხა:—იმ დღეს მერე, იი ხარი რომ დეიჭირე... ვეღარ დააბოლოვა მორცხვობის გამო ქალმა სიტყვა.

— აბა, დარიკო, ჩვენ ძაან ვიცხოვრებთ ერთათ!

— შენთან ვინ ვერ იცხოვრებს! ბედნიერი ვარ, სიმონ, თუ ღმერთმა დაგვაცალა! მე ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ ასე ბედნიერი ვიქნებოდი! რა დღე იყო ის დღე!...

— ბედნიერი დღე იყო, ბედნიერი, ჩემო დარიკო! გვიყვარდეს ერთმანეთი, ვირჩინოთ ჩვენი თავი ჩვენი შრომით და ვიყოთ. ნურავის ვაწყენთ და ჩვენც არავინ გვაწყენს. ასე, ჩემო დარიკო, ტკბილათ ვიცხოვროთ.— სიმონა ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ დაიწყო:

— იცი, დარიკო? შენ ძაან ლამაზი ხარ... არა, მჯერა, შენ თავის დღეში არ მიღალატებ!

— ვის უღალატებ, შენ? ჰაი, ჰაი, აბა ვერ გიცნია დარიას გული! აგი რა იფიქრე, მე შენ გიღალატო! ჰმ...

აი ამ ლაპარაკით გათავდა დარიკოსა და სიმოს შორის სიყვარულის გამოცხადებაც და ფიციც.

### VIII

შემოდგომაზე მიწის მუშა გლეხს დიდი ჯაფა აწევს: მთელის წლის ნამუშავარს, მთელის წლის სარჩოს ამ დროს უნდა მოუყაროს თავი და შეინახოს. ამ დროს ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ყველა მოუსვენებლად მუშაობს. სოფლებში თითქმის სახლის მცველიც აღარ რჩება—ყველა ყანაში მიდის.

რადგანაც სიმონას და მის ცოლის ძმას ბევრი ყანა ჰქონდათ, ხან ნადით და ხან თავისით ცდილობდნენ რამე გვარად მოესწროთ და შემოდგომის ავდრების დაწყებამდე „დაელაგებინათ“. დარიაც ვაჟკაცურად ეხმარებოდა მუშაობაში ძმას და საქმროს. დარიას სიახლოვეს ყოფნით სიმონა, რა თქმა უნდა, ნეტარებას მორევში სცურავდა. სიმონას თვალში ამ დროს ცასაც სხვა ფერი ედო, მიწასაც, დღესაც და ღამესაც; ასე ეგონა,—ფრინველებიც ჩემს სიყვარულს მღერიანო.

საღამოობით დარია, დედა მისი და ქეთევანი შინ მოდიოდნენ ღამის გასათევად; სიმონა და პავლია-კი ყანაში რჩებოდნენ, რომ ღამითაც ემუშავნათ რამდენსამე საათს.

ერთს დღეს, სადილად რომ ისხდნენ, სიმონას სიდედრმა გაიხსენა ერთი ახალი ამბავი:

— უი, მართლა, თქვენ ხუმრობას გული გადავაყოლე და ქე დამავიწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნე-ჩვეულება დაბალს ხარისხზედ სდგას, მით უფრო მეტად იჩენს თავს ყაჩაღობა. ავაზაკობა თითქმის სრულიად მოისპო დასავლეთს ევროპაში, დარჩა მხოლოდ სამხრეთს ევროპაში: ოსმალეთსა, იტალიასა, განსაკუთრებით სიცილიასა და ისპანიაში. ამას წინადაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გამოჩენილი ავაზაკი—ქალი მილა სერბიელი და ოსმალეთში ათანასი მოსვენებას არ აძლევდნენ მთავრობასა და მკვიდრთ. მერე რას არა სჩადიან ეს ვაჟბატონები. ქარავნებს ძარცვენ, მატარებლებს აჩერებენ, ქალაქებს იკლებენ და სოფლების აოხრებას ხომ საზღვარი არა აქვს. ავაზაკობა და ყაჩაღობა დარჩენილია ძველის ბარბაროსულის დროიდან. ყველა ერის ისტორიაში მოიპოვება გამოჩენილი ყაჩაღები და თითოეული მათ შორის დროისა და ერის ხასიათის შესაფერად მოქმედებს. ჩვენის რუსეთის ყაჩაღნი: ჩურკინი, ვანკა-კაინი, სტენკა და პუგაჩოვი არაფრით ჰგვანან არც კავკასიისა და არც ევროპის ავაზაკებს. ყოველი მათგანი ნამდვილი და ღვიძლი შვილია თავის ერისა და ეტყობა ზედ-გავლენა ხალხის ზნე-ჩვეულებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა.

ოთხმოც-და-ერთი წელიწადი გახდა მას უკან, რაც საქართველოში ჩვენმა მთავრობამ ფეხი მოიკიდა და, სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ყაჩაღობის აღმოსაფხვრელად ჯერ არაფერი გაგვიკეთებია. ავაზაკობა თანდათან უფრო ვრცელდება. ყაჩაღები ისე გათამამდენ, რომ პოლიციას უმკლავდებიან, ხშირად კიდეც დაამარცხებენ ხოლმე. ყაჩაღობას ჩვენში ღონივრად აქვს ფესვები გადგმული, მკვიდრნი ხშირად მფარველობას უწევენ, ეხმარებიან და ამისათვისაც ბრძოლა მეტად საძნელო ხდება. ამის გამო ჩვენში ყაჩაღობის მიზეზების გამოკვლევას მარტო სათეორიო მნიშვნელობა-კი არა აქვს, არამედ პრაქტიკულიცა. ყაჩაღობა ჰყვნის ერს და მისს ზნე-ჩვეულებას, ნივთიერად ანადგურებს მკვიდრს და და ძირს ამხობს მისს კეთილ-დღეობას; ამისათვის ყაჩაღობას ჩვენში საზოგადო, სოციალური მნიშვნელობა აქვს. აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ კავკასიის იურიდიულმა საზოგადოებამ შეიმუშავა პროგრამა ცნობათა შესაკრებად ყაჩაღებისა და მათ სამარცხვინო ხელობის თაობაზე. სამწუხაროდ ლიტერატურა ყაჩაღობის შესახები მეტად ღარიბია. ნუხის განსვენებულს მომრიგებელ-მოსამართლეს ბ-ნს ღვინიაშვილს გარდა, არავინ შეჰხებია ამ საგანს. იყო კიდევ დაბეჭდილი რამდენიმე მეთაური წერილი ამავე საგანზე გაზეთს „იურიდიულს მიმოხილვაში“, „ახალს მიმომოხილვაში“ და სხვა არაფერი. ჩემის ხსენების შესადგენად ვისარგებლეთ, სთქვა ფრენკელმა: ოლქის სასამართლოს და პროკურობის საქმეებით და დიდად დამეხმარნენ აგრეთვე მამა ტატო წულუკიძისა და მისი ნათესავები. ვეცდები ყველა ამ ცნობათა შემწეობით ვრცლად დაგიხატოთ სურათი შესანიშნავის ავაზაკის ტატოსი, ამ ტფილისის მდაბიო ხალხის ღმერთისა. ამასთანავე ფრენკელმა წარუდგინა საზოგადოებას ფოტოგრაფიული სურათი, როგორც ტატოსი, აგრეთვე რამდენისამე სხვა ავაზაკისაცა.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, რუსეთის მთავრობამ დამშეულთა დასახმარებლად განიზრახა საზოგადო სამუშაოთა დაწყება, რომ უარარაოდ დარჩენილმა გლეხებმა შეიძლონ და თავის გამოსაკვები ფული მაინც იშოვნონ ამ გზით. უმთავრესი საბჭოც შესდგა, რომელსაც მიენდო ამ საგნის წვლილება-განხილვა და წარმოება. აი რა ვითარებაშია დღეს ეს საქმე.

უმთავრეს საზოგადო სამუშაოდ მიჩნეულია სახელმწიფო ტყეების გაწმენდა-გაკეთება. ეს სამუშაო ახალი არა არის-რა, განსაკუთრებით წლეულ მოგონილი გაჭირვებულთა საშემწეოდ. ყოველ წლივ მრავალს ალაგას იკაფება ტყე ჯერ ერთი იმიტომ, რომ ტყე გაიწმინდოს, გასუფთავდეს და მეორეც, შემოსავლის გულისთვის მოიჯარადრეებს აძლევენ ხოლმე ტყეს გასაკაფად ხე-ტყისა და შეშისათვის. წლეულს ეს საქმე მხოლოდ მეტის ზომით იქმნება წარმოებული, რომ საშოვარი რამ გაუჩინონ აუარებელს დამშეულს მუშა ხალხს. მუშები დასდასად იმუშავებენ გამგეობის ზედამხედველობით. შემდეგ თვით გამგეობავე იკისრებს გაგზავნას დამზადებულის შეშისა და ხე-ტყისას სხვა-და-სხვა ალაგას, სადაც საჭირო იქნება, განსაკუთრებით-კი სახელმწიფო რკინის გზებზე და საერო დაწესებულებებში. რომ დამზადებული მასალა გაუსაღებელი არ დარჩეს საზოგადო სამუშაოთა გამგეობა ამ თავითვე შეეკრა პირობით სხვა-და-სხვა დაწესებულებას შეშისა და ხე-ტყის თაობაზე. ამ ზამთარს სულ უნდა გაიკაფოს 50 ათასი დღიური ტყე. მუშა ხელი ამ საქმეს დასჭირდება 100,000 კაცი და 45,000 ცხენი, ხოლო ხარჯი ამაზე გაიღება სამი მილიონი მანათი. ტყე გაიჩეხება არა მარტო დამშეულს გუბერნიებში, არამედ სხვებშიაც, მაგრამ მუშა ხალხს-კი იქაც დამშეულ გუბერნიებიდგან წაიყვანენ. მასალა იმდენი შეუკვეთეს საზოგადო სამუშაოთა გამგეობას, რომ ამ მხრივ თითქმის სრულიად უზრუნველ-ყოფილია.

მეორე გვარი სამუშაო გზა-ტკეცილების გაკეთებაა. ახალი გზა უნდა გაკეთდეს სულ 206 ვერსის მანძილზე, მაგრამ ერთიანი გზა-ტკეცილი-კი არა, არამედ რამდენიმე მოკლე გზა-ტკეცილი სხვა-და-სხვა ადგილას, სადაც საჭიროება მოითხოვს ან რკინის გზის სადგურისა და ან ნავთსადგურების სიახლოვეს აღებ-მიცემისა და მისვლა-მოსვლის გასაძლიერებლად. ამ საქმესაც მუშა ხელი დასჭირდება 75,000 კაცი და 10,000 ცხენი, ხოლო ხარჯი ამ საგნისთვის გადადებულია ერთს მილიონს მანათზე მეტი.

მესამე რიგი საზოგადო სამუშაოთა სასოფლო გზების შეკეთება-შესწორებაა. ამ საქმეზედაც ორის თვის განმავლობაში ამ ზამთარს იმუშავებს 65,000 კაცი და 16,000 ცხენი. ფული ამ საგნისათვის სახელმწიფოს მიერ გადადებულია 1.300,000 მანათი.

ამ სამუშაოთა გარდა, სხვა საქმეებიცა აქვს გამგეობას მხედველობაში, მაგრამ გარდაწყვეტილი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ზემოხსენებულ სამუშაოთა დაწყებაა. ამ ჟამად პეტერბურგში თავმჯდომარეობით საზოგადო სამუშაოთა გამგეობის უფროსისა განსაკუთრებული კომისია შესდგა ელევატორების გამართვის თაობაზე. ამ კომისიამ უკვე საჭიროდ სცნა 24 ელევატორის გამართვა შიდა რუსეთის რკინის გზების იმ სადგურებთან, სადაც რამდენიმე გზა იყრება ერთად. თუმცა საზოგადო სამუშაოთა განსაკუთრებულს საბჭოს თავისი აზრი არ წარმოუთქვამს ელევატორების გეგმის შესახებ, მაგრამ ამთავითვე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხსენებული ელევატორები წელსვე შემოდგომისათვის უკვე გამართული იქნება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი და გერმანია.** ამ უკანასკნელს ხანებში საფრანგეთის გაზეთები კელავ დიდს ყურადღებას აქცევენ ელზას-ლორენის საქმეს. უმეტესობა იმ აზრისაა, რომ ეს საქმე მშვიდობიანის საშუალებით უნდა გადავწყვიტოთ როგორმეო. უმთავრესად ორს საშუალებასა სთვლიან სათანადოდ: ან გამოვისყიდოთ ელზას-ლორენი და ან ტონკინი დავუთმოთ იმის სამაგიეროდაო. აი ელზას-ლორენის გამოსყიდვის შესახებ რა უთქვამს ჟულ სიმონს „Eclair“-ის რედაქტორისათვის.

„არა ერთხელ მილაპარაკნია ელზას-ლორენის ნეიტრალიზაციის—განცალკევების შესახებ, მაგრამ კერძოდ-კი. ბევრი ვებაასე ამის გამო ისპანიის სახელმწიფო მოღვაწეებს, რადგან, ჩემის აზრით, ისპანია ერთად-ერთი სახელმწიფოა, რომელსაც უფრო ადვილად შეუძლიან აღძრას ეს სახიფათო საგანი, ვიდრე ყველა სხვა სახელმწიფოს. როცა ბერლინში ვიყავი უკანასკნელად, იქაურს საპოლიტიკო მოღვაწეებთანაც-კი მქონდა ამის გამო ბაასი. პასუხად ის მითხრეს, რომ „ელზას-ლორენი რომ განვაცალკევოთ, ორმოც-და ათის წლის შემდეგ სულ ერთიანად გაფრანგდებაო“. დარწმუნებული ვარ, რომ ერთად-ერთი გზა ისევ ამ ქვეყნის განცალკევებაა, თუ გვინდა, რომ იმის გამოისობით საფრანგეთისა და გერმანიის დამოკიდებულება ასე მეტად არ იყოს გამწვავებული. შესაძლებელია, რომ სისხლის ღვრა ბოლგარიის გამო ასტყდეს, მაგრამ ეს ნახევარ-კუნძული ჩვენზედ ძალიან შორს არის; უფრო ადვილად დასაჯერებელია, რომ უთანხმოება ელზასმა გამოიწვიოს. მაინც-კი წინააღმდეგი ვარ იმ აზრისა, რომ ელზას-ლორენის სამაგიეროდ ტონკინი დავუთმოთ გერმანიას. აბა დაფიქრდით, ტონკინს რა ძლიერ ხელმწიფოდ გადააქცევს გერმანია, მეტადრე, თუ სამხედრო ხარჯი ამ ქვეყნისა აიცილა როგორმე. დარწმუნებული ვარ, რომ ტონკინს დიდი მერმისი მოელის და, თუ შეძლებამ ნება მოგვცა, ეს ქვეყანა იგივე იქნება ჩვენთვის, რაც ინდოეთია ინგლისელებისათვის“.

ელზას-ლორენის მაგიერ ტონკონის დათმობის წინააღმდეგია გაზ. „Figaro“-ც. ამ გაზეთის სიტყვით, ელზას-ლორენში 1.600,000 მცხოვრებია და ტონკინში-კი 15-დგან 25 მილიონამდე. ტონკინის მიწა-წყალი ელზას-ლორენისას ერთი თხუთმეტადა სჭარბობს. რასაკვირველია, ყოველს ნივთს, ქონებრივ ფასს გარდა, აზრის შესაფერი ფასიც ადევს, მაგრამ სახელმწიფოს რა ნება აქვს, რომ გრძნობას გაეტაცებინოს. რასაკვირველია, გვენანება ეს ორი პროვინცია, მაგრამ ამის გამო სახელმწიფოთათვის ბოროტს ვერ ვინდომებთო.

**ბოლგარია.** ბოლგარიის სამხედრო სამინისტროს კრუპპის ზარბაზნების ქარხნისათვის შეუკვეთნია ოცი დიდი ზარბაზანი და 192 მინდვრის ზარბაზანი. ეს ზარბაზნები სწორედ იმ ყაიდისა უნდა იყოს, რა ყაიდისაც კეთდება გერმანიისა და ავსტრიის ჯარებისათვის. პირობის თანახმად, ეს შენაკვეთი ზარბაზნები 15 აპრილზედ უგვიანეს არ უნდა ჩაჰბარდეს რუშჩუკის თოფხანას. ამ შენაკვეთის ფულის გარდახდა უკისრნია ვენის ლენდერბანკს. მაშ ასე, მაისის თთვისათვის ბოლგარიის მინდვრის არტილერია გერმანიასა და ავსტრიის ჯარებსავით იქნება შეიარაღებული და ვარნასა და ბურგასის მაღლობზედ მრისხანედ დაიდგმება გერმანიისებური ოცი ზარბაზანი.

— გაზ. „Eclair“-ის ბელგრადელი კორესპონდენტი ამბობს, მართალია ის ხმა, რომ სოფიაში შეთქმულობა იქმნა აღმოჩენილიო. შეთქმულობაში უმეტესად ჯარს აქვს მონაწილეობა მიღებული და აზრად ჰქონიათ სტამბულოვის მოკვლა. ორმოც-და-ათამდე აფიცერია ამ საქმის გამო დაპატიმრებული. პრინც-ფერდინანდის უფროსს მზარეულს უნდოდა ღორთველით (სტრიხნინით) მოეწამლა ბოლგარიის მთავარიო. ეს მზარეულიც დაპატიმრებულია.

---

ტა; წუხელის ერთი ამბავი მოხთა ჩვენს სოფელში: დავითის თავლა გასტეხეს და მისი ლურჯი ბედაური მეიპარეს. ქურდებს დავითისის მოჯამაგირისთვის გარედამ კარები დეეჯორგა, დავითის დიდი მურაც დეერჩო. მთელი სოფელი შეძრულია ამ ამბით. დავით ამ დილასვე კანცალარიაზე გეიქცა თურმე.

ამ ამბავმა ქეთევანს ლუკმა გაუჩერა ხელში, სიკვდილის ფერი დაედო. გაურბინა ფიქრად: „დავითი ჩემს შვილს დასწამებს ამასა“ო. ერთჯელ, ახსოვდა ქეთევანს, დავითმა უთხრა: „იმ შენ ბიჭს ჰკუა ასტავლე, ისე მტერსავით რომ მიყურებს, აფერი იფიქროს ჩემი ოჯახის წყენა, თვარა დავარჩობიებ, იცოდე“ო. ცოტა არ იყოს ერთხანს, სიმონაც ჩაფიქრდა ახალ ამბის გაგონებაზე, მაგრამ შემდეგ-კი მოჰყვა ხუმრობას:

— მურას რას არჩობდნენ იი ოჯახდაქცეულები! კაი იგი იქნებოდა თითონ დავით დაერჩოთ.

— შვილო, ნუ მეთქინ, ნუ იტყვი ამისთანას. შვილო, ჩვენ ობოლი ვართ და იგი ნეფისტოლი კაცი. რომ მეინდომოს ერთის სიტყვის თქმით დაგღუპავს. უთხრა ქეთევანმა შვილს.

— დამღუპავს და დავღუპავ! ვაჟო, სვინიდისზე ხელი ნუ უუღია, ნუ გამაძაღლებს, თვარა გემოს არც იმას ვაჩვენებ! თავის დაქნევით სთქვა სიმონამ.

ნასადილევს ყველას დაავიწყდა, გარდა ქეთევანისა, ახალი ამბავი. ქეთევანი-კი ხმა ამოუღებლივ, მწარედ ჩაფიქრებული იყო.

გათენდა დილა თუ არა, სიმონასთან მივიდა „ხევისთავი“ თავისის „ყარაულებით“ და გამოუცხადა „კანცელარიაზე გიბარებენ“ო. სიმონამ დააპირა უარის თქმა—არ წავალო, მაგრამ ყველა გაუპირდა:—„წასვლა ჯობს, შენი სიმართლე უთხარი, ქვეყანამ იცის, რომ ყანაში ხარ და არა საქურდალს“ო.

— იცით, მერე რაი! ჩვენი მამასახლისი დავითის ხელშია, რასაც დავით უბძანებს, იმას იზამს! სთქვა სიმონამ უკმაყოფილოდ, ჩაიცვა ჩოხა და გაჰყვა „ხევისთავს.“

კანცელარიაში სიმონას მისვლამდე „მოემზადებინათ ყოველივე—პროტოკოლიც“ და „რაპორტიც.“ დავით დროიძე იქ იყო და ხშირად ამბობდა: „არა, ამას რომ წავუყრუო, ხვალ ცეცხლს მომიკიდებს და გამომწვავსო.“ როცა სიმონა დაინახა, უთხრა:

— რა ქენი, ბიჭო, ამისრულე, გულზე ხელს რომ იცემდი, გაწყენო? რაღამც ასე ყოფილა, კაი, ვნახოთ შენ, თუ მე! ღმერთმა იცის, დედაშენი სიბრალულით ბევრ რამეს გითმენდი. მარა აღარ გამივიდა. აწი ნახე ერთი თუ შეგრჩება ჩემი ოჯახის გატეხა!

დავით ისე დარწმუნებული იყო—ჩემი ცხენი სიმონამ მოიპარაო, თითქო თავისის თვალით ენახოს. მეტადრე დავით იმან უფრო დაარწმუნა, რომ ერთი მისი მოჯამაგირე, რომელისთვისაც ქურდებს კარი დაეკეტათ გარედამ და სახლში დაემწყვდიათ, ამბობდა: „გავიგონე, ერთმა ქურდმა დაუძახა მეორეს“—აქეთ „სიმონო“.

სიმონს დავითის სიტყვებზე პასუხი არ მიუცია, ისე გაუარა გვერდი, მივიდა მამასახლისთან და თავისებურის გაბედულობით ჰკითხა:

— რაზე მიბარებთ, მამასახლისო?

— რაზეც გიბარებთ, თავის ადგილზე რომ მიხვალ, მაშინ შეიტყობ, უპასუხა მამასახლისმა, მერე ჩააბარა კონვერტები ერთს „ყარაულს“, მიუმატა ოთხი სხვა „ყარაული“ და უთხრა—„აბა წეიყვანეთ“.

სიმონამ გაბრაზიანებულის თვალებით შეჰხედა დავითს და უთხრა: დავით, ნუ მღუპავ ამ მართალს ადამიანს, თუ-არა ერთს დღეს მოგკითხავს ღმერთი ჩემს ცოდვას! ხომ იცი, რა დროა ახლა მუშა კაცისთვის! ღმერთს ენდვე, არაფელი დანაშაული მაქ, მართალი ვარ!

— მართალი თუ ხარ, რაღა გიჭირს? სასამართლოები იმიზაა, რომ მართალი და მტყუანი გაარჩიონ. მწარე ღიმილით უპასუხა დავითმა.

სიმონამ დააპირა გაძალიანება—„ნებით არ წავალ და ვნახოთ, ძალით რას გახდებიან“ო, მაგრამ მერე გადაიფიქრა: „გაძალება უარესია, წავალ, ჩემს სიმართლეს ღმერთი არ დამიკარგავს“ო და გაჰყვა „ყარაულებს“.

როცა მაზრის უფროსთან მიიყვანეს, ჩვენებური დარაჯები ჩამოეცალა, ხიშტიანი რუსები შემოადგა იქით-აქეთ, მაზრის უფროსმა პროკოტოლის წაკითხვის შემდეგ რაღაც რუსულად დაუწყო წყრომა და ფეხების ბარტყუნი და შემდეგ წაიყვანეს სატუსაღოში.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

**სპარსეთი.** ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ სპარსეთის მკვიდრნი დიდი წინააღმდეგნი არიან ინგლისელებისაო. სპარსელები თამბაქოს მონოპოლიისა და ინგლისის ბანკის მეთაურებად ლორდ სალისბერსა და დიდს ვეზირს სთვლიან. თეირანის ქუჩებში დიდ-ძალს ხალხსა აქვს თავი მოყრილი და ჰყვირიან: „შორს ჩვენგან დიდი ვეზირი, შორს სალისბერიო! ყოველ დღე სპარსელები გარს ახვევიან ევროპიელების სახლებს და თხოულობენ, რომ აიყარნენ, გაგვეცალნენ აქედგანაო. პოლიცია დიპლომატებისა, ელჩებისა და იმ ევროპიელების სახლებს უდგას დარაჯად, რომელნიც სპარსეთის სამსახურში არიან. მთავრობას არ უნდა ჯარი გამოიხმოს, რადგან ისინიც ემტერებიან ევროპიელებს და შეიძლება მკვიდრთ მიემხრნენ. შაჰი და დიდი ვეზირი დიდი ხანია სასახლიდგან გარედ აღარ გამოდიან, რომ დემონსტრაციის მიზეზნი არ შეიქმნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ რამდენისამე დღის წინად გაზეთს „Кавказъ“-ში წავიკითხეთ წერილი კახეთიდგან—განკიცხვა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისა. ამ წერილმა ისე მომიკლა გული და ამაღელვა, რომ იძულებული შევიქენ, ამეღო კალამი ხელში და დამეწერა პასუხი სკოლის მკიცხველისათვის.

ზოგიერთს მკითხველს შეიძლება კიდეც გაუკვირდეს ჩემი ასეთი წყენა, მაგრამ მე ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ პირში ვუდგე ყველა მრუდე მოლაპარაკეს ზემოხსენებულის სკოლის შესახებ, რადგან ამ სკოლამ აღმზარდა, ცოდნის მუმუ იმან მაწოვა, განმავითარა თავის დანიშნულებისამებრ და კეთილს გზაზედ დამაყენა. რა მე და რა სხვა?! განა ყველა ქართველი მოვალე არ არის მფარველობა გაუწიოს ამ სკოლას, თუ-კი პატარა შეგნება აქვს და იცის, რა ცოდნის და სარგებლობის მოტანა შეუძლიან სკოლას ჩვენის დაცემულ და დავრდომილ მამულისათვის.

საკვირველი ის არის და ზოგჯერ სასაცილოც, რომ ჩვენში ისეთნიც გამოჩნდებიან ხოლმე და დაიწყებენ სჯას, რომელთაც არ იციან აზრი ამ სასწავლებლისა,—არ იციან, რა აქვს საგნად და რა შედეგი ექმნება მომავალში. წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო მეურნეობის სკოლა არსებობს მარტოდ-მარტო მისთვის, რომ მოამზადოს მცოდნე და მხნე მუშა კაცნი, რომელთაც შეეძლოთ თავიანთ მამულის შემუშავება იმ რიგით და წესით, რომ მამულიც საშვილიშვილოდ კეთდებოდეს და შემოსავალიც ერთი საძად მატულობდეს; სკოლას სრულიადაც აზრად არა აქვს მოხელენი და გადამწერლები გაამრავლოს ჯილაბნა-წერისთვის, რისიმედიცა ჰქონიათ ზოგიერთ ჩვენ გახელ თავად-აზნაურთ. ამ ვაჟბატონებს თურმე ისა სწყენიათ, რომ მათ შვილებისათვის სკოლას მუშაობა უსწავლებია და ხელები დასჯირკვებიათ მუშაობისაგან; ეტყობა ისიც ვერაფრად მოსვლიათ ჭკვაში, რომ მათი შვილები, თურმე, ფრანგულ რომანების შესახებ ვერასა ლაპარაკობენ. „მუშაობის სწავლება თუ გვდომიყო, შვილებს ხო შინაც კარგად გასწავლიდითო“: ასე თურმე ამბობენ ზოგიერთნი გახელი თავად-აზნაურნი, როგორც ჰმოწმობს კორესპონდენტი „Кавказъ“-ისა.

სწორედ, რომ დასაფიქრებელია, ღმერთმანი, ჩვენი ასეთი უკან ჩამორჩენა. აგერ მეცხრამეტე საუკუნე მიიწურა და ჩვენ კიდევ ვერ მივხვდით, რომ ჩვენი წესი და რიგი მამულის შემუშავებისა გროშად არა ღირს. მაგრამ რა ჩვენი საქმეა მამულის შემუშავების წესზედ და რიგზედ ლაპარაკი, ჩვენ ხომ კეთილშობილები ვართ, მუშაობა რად გვეკადრება!!.

ის არა სჯობია მზა-მზარეულზედ ვისხდეთ და ვიძახოთ: „ეჰ, მამულიდგან არა შემოდის-რაო!..

ჩვენ ხომ არას ვაკეთებთ, ჯანდაბას, მაგრამ ის არის სამწუხარო და გულის დასაწყვლი, რომ სხვასაც ვუფუჭებთ გულს ჩვენის ბათლაძ-ბათლამის ლაპარაკით, ვუფუჭებთ გულს იმას, ვისაც-კი საზოგადო სასარგებლო საქმე დაუწყია. ზოგიერთ გახელ თავად-აზნაურთ ერთი ალიაქოთი თურმე უდგათ, როგორც გაზეთს „Кавказъ“-ში ვკითხულობთ, იმის გამო, რომ წინამძღვარიანთ კარის სკოლაში მათის შვილებისათვის მითომ არა უსწავლებიათ-რა. ახლა რატომ არ იკითხავთ, არიან-კი მათი შვილები ამ სასწავლებელში? ძალიან ცოტა, ისე რომ სათქმელიც არ არის, სულ 4 თუ 5 ბავშვია და ისიც ზოგნი სხვა სასწავლებლებიდან გამორეკილები, ზოგნი ავის ხასიათების ბავშვები; ცოდნას თავი დავანებოთ, ამისთანების ხასიათის გასასწორებლად არა თუ მარტო ერთი და ორი წელი იყო საჭირო, არამედ ოთხი და ხუთი. ეხლა-კი მათი დედ-მამანი, როგორც ეტყობათ, უკმაყოფილებასაც აცხადებენ, რომ მათის შვილებისათვის მარტო მუშაობა უსწავლებიათ.

ჩვენს შვილებს ქართული წერა-კითხვაც-კი დაჰვიწყებიათო. ღმერთი ჭკუით იცნესო; ამ სასწავლებელში 6 კაცი გახლავთ მასწავლებლად; მაშ სულ ტყუილად მსხდარან, ბავშვებისთვის არა უსწავლებიათ-რა და ჯამაგირება-კი უღიათ. მაშ სულ სინიდისისაგან გადამდგარნი ყოფილან და არც ღვთისა და კაცის შიში და სირცხვილი ჰქონიათ?!. არა, ბატონებო, ვისაც სწავლა სწყურიან, ის ცოდნასაც ბევრს გამოიტანს და ზრდილობასაც ამ სამეურნეო სკოლიდამ და ვისაც არ უნდა, რასაკვირველია, მისი გონება მძლედ დაიტევს ცოდნას.

ეხლავე დაუნახავთ ზოგიერთ გახელ კეთილ-შობილთ, რომ ვაზის მოვლა-გაშენებას და ღვინის დაყენებას წესიერად დიდი სარგებლობის მოტანა შესძლებია და ბაყიას ატეხენ წინამძღვარიანთ კარის სკოლას, სარდაფი და ღვინო არა აქვს, რომ ჩვენმა შვილებმა შეისწავლონ ღვინის დაყენებაო. ის-კი არ იციან იმ დალოცვილი შვილებმა, სარდაფის დაარსებას რა ფული სჭირია! იმათა ჰგონიათ, ბანკისაგან აღებული ხუთასი თუმანი, სწორედ ზღვად გასკდება სკოლის საქმეში არ ვიცი, ამ ხუთასის თუმნით რომელი ერთი გააკეთოს სკოლამ: სახლები ააშენოს, სარდაფი დააარსოს, სასწავლო ნივთები იყიდოს ბავშვებისთვის, მასწავლებლებს აძლიოს ჯამაგირები, თუ ბავშვები შეინახოს სადგურში თავისის ხარჯით. საყვედური და ცხვირში მძმის დენა კიდევ სხვა არის ზოგიერთ გახელ თავად-აზნაურთაგან. აბა გადავხედოთ საბალოსნო სკოლას ტფილისში, რომელსაც წელიწადში ეხარჯება 16,000 მ. ზემოხსენებულსავე გაზეთში ვკითხულობთ: კარგი იქნებოდაო, რომ სკოლას ანგარიში წარმოედგინა იმ ხუთასის თუმნისა, რომელსაც სათავად-აზნაურო ბანკი აძლევს, სად და როგორ იხარჯებაო. მე მგონია, ანგარიში იყო წარდგენილი სათავად-აზნაურო ბანკის კრებაზედ 1889 და 1890 წწ. ძალიან დაწვრილებითაც იყო წარდგენილი. როგორც გვეტყობა, მალე გვავიწყდება ყველაფერი, ჩვენდა საუბედუროდ. ეს ანგარიში ისე დაწვრილებით იყო წაკითხული ბ-ნ ი. წინამძღვრიშვილისაგან, რომ ზოგიერთი მსმენელთაგანი უკმაყოფილებასაც აცხადებდა და ამბობდა, ასე ვრცელის ანგარიშის კითხვა რა არისო. რაც შეეხება ღვინის სარდაფს, სკოლას დიდი ხანია აზრად აქვს ამის დაარსება, მაგრამ რით, რომლის შეძლებით?

მაინც-და-მაინც, ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს, რომ სკოლა თავისას აასრულებს, დღეს იქნება, თუ ხვალ. მაგრამ სარდაფი რად გვინდა, ჩვენ ხომ მუშაობა გვეთაკილება და სარდაფში თუ არ იმუშავა კაცმა, ისე არა გაკეთდება-რა.

ამით ვასრულებ ჩემს წერილს და ღმერთსა ვთხოვ, რომ დაარსებულიყოს, წინამძღვრიანთ კარის წყობილსთანა სკოლა ყველა ჩვენს მაზრაში და ამ სკოლებს ესწავლებინოთ მუშაობა ჩვენის შვილებისათვის, რომ ჩვენი მამული ფეხზედ წამომდგარიყოს, თორემ ღმერთი-რჯული, ცუდად არის ჩვენი და ჩვენის მამულის საქმე: სადაა მამულები ხელიდან წაგვივა და მალე ცალიერზედ დავსხდებით.

ნ. ანდრონიკაშვილი

## პეტერბურგის ბირჟა, 17 იანვარი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 18 | 8, 20 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 163 | 164 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 236¹/₄ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 226¹/₄ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი. . . , . | 198¹/₂ | — „ | 201 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — „ | — „ | — „ |
| 6°/₀. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5¹/₂°/₀. . . . . | — „ | — „ | 102 |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — „ | — „ | 102 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | 98³/₄ |

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალი განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ „ | | „ |
| მე-3 „ „ „ „ | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 „ | | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 8 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

### ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

### ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

### ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით' ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


# განცხადებანი

6 იანვარს დაღუპულების ოჯახობათა სასარგებლოდ შეწირულებათა შემკრები კომისია

მიიღებს ყოველ დღე

ქალაქის საბჭოში წერილობით თხოვნას—6 იანვარს დაღუპულთა ოჯახებისა და ნათესავებისას.

პირად სანახავად და სიტყვიერის თხოვნისათვის კომისია სთხოვს მსურველთ მიბრძანდნენ გამგეობის სადგომში კრების დღეს, ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათიდამ.

(3—3)

სომხეთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს სადგომში

29 იანვარს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად იმ უძრავ ქონებისა, რომელიც შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქოევმა და რომელიც რიყის ქუჩაზეა № 46

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე.

(3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 21-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.